ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვთოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ- (მათ. 11 28).

№ 21 1883—1895 15 ნოემბერს

გაზეთის ფასი:

	«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით	
12 თთვით	. . .	3 მან.	12 თთვით . . .	5 მან.
6 —	. . .	2 —	6 — . . .	3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ აღრესით: *Въ Квирилы, въ редакцію „Мкемси“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიცა იქმნებიან დასაბეჭდავად გამოგზავნილნი ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მაოის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

რედაქციისაგან.

ღვთის მადლით და შეწევნით წელს ჩვენი გამოცემა „მწყემსი“ დღიდგან დაარსებისა მეთოთხმეტე წელში გადადგა. თოთხმეტი წელიწადი გასვეთის არსებობისა საკმაოდ ამტკიცებს, რომ გასვეთმა შესაფერი თანაგრძნობა მოიპოვა მკითხველ საზოგადოებაში და მედგრად გაიკვალა ეკლიანი და ბნელით მოცული გზა, გარდა ამისა ეს გარემოება ცხადათ ამტკიცებს, რომ რედაქციამ დასძლია ყველა ის დაბრკოლებანი, რომელნიც სელს უცარავენ გამოცემის საქმეს.

ჩვენი რედაქცია ეოველთვის მზად იყო ერთგული სამსახური გაეწია ჩვენი სამღვდელოებისა და საზოგადოებისათვის, ამ მიზნის მისაღწევად მასს ნიადაგ სახეში ჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამღვდელოების და საზოგადოების სულიერი სარგებლობა, მათი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობა და დაჩაგრულთათვის შემწეობის და დახმარების აღმოჩენა. რედაქცია ყველას აძლევდა საშუალებას გამოეთქვა თავისი გაჭირვება და დალხინება შემლებისადაგვარად.

თუმცა ჩვენი გაზეთის ხელმოსაწერი ფასი, მაინც-და-მაინც, დიდი არ იყო, მაგრამ ცხოვრებამ ცხადად დაგვარწმუნა, რომ ბევრთათვის ამ მცირე ფასის—5 მ. შემოტანაც საძნელო ეოფილა, თუმცა მრავალ პირთ დიდი სურვილი და ხალისი ჰქონებიათ ჩვენი გამოცემის მოპოებისა.

რედაქცია ამისთანა პირთა თხოვნას ეოველთვის აკმაეოფილებდა და გაზეთის გამოწერისათვის მსურველთ ეოველივე საშუალებას აძლევდა.

ჩვენს რედაქციას არასოდეს არ ჰქონებია სახეში კომერციული ანგარიში და მიზანი. იგი მზად არის ყველა მსურველთა შორის გავრცელოს თავისი გამოცემა. ამიტომ ამა წლიდან რედაქცია საზოგადოდ ყველასათვის ნიშნავს გაზეთის „მწყემსი"-ს წლიურ ფასად ნაცვლად სუთი მანეთისა სამ მანეთს. „Пастырь"-ის ფასი ძველებურადვე 3 მანეთი იქნება. ორივე გამოცემა ეღირება 5 მანეთად, ნახევარი წლით „მწყემსი" ეღირება 2 მ., ხოლო ორივე გამოცემა 4 მ. სოფლის მასწავლებელთ ორივე გამოცემა სამ მანეთად დათმობათ, ნახევარი წლით ორ მანეთად.

მომავალ 1896 წელში „მწყემსი"-ს ხელისმომწერნი საჩუქრად მიიღებენ მოზრდილ ფოტოგრაფიულ მხატვრობას საქართველოს მეფის დავით III აღმაშენებელისას და ყველასაგან პატივცემულ იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისას.

ეს საჩუქრები დაურიგდება ყველას გაზეთის ხელის-მოსაწერი ფულის მიღებისათანავე.

რედაქცია დარწმუნებულია, რომ სამღვდელოება და საზოგადოება ჩვეულებრივ თანაგრძნობასა და ზნეობრივ დახმარებას აღმოუჩენს მასს. სრული იმედია, რომ ჩვენი სულიერნი მწყემსნი ეცდებიან გაავრცელონ სამწყსოთა შორის „მწყემსი" და ამით, ბევრად თუ ცოტად, დაეხმარონ საზ. გადოებაში ბეჭვდითი სიტყვის გავრცელებას და ქრისტიანობრივი ზნეობის ამაღლებას, რომელიც დღეს ასე თვალსაჩინოდ არის დაცემული და დასუსტებული.

დღეს, როცა ასე თვალსაჩინოდ ვრცელდება სალხში სხვა-და-სხვა უბრალო და უსარგებლო შინაარსის წიგნაკები, ჩვენი სამღვდელოების პირ-და-პირი მოვალეობაა ეოველივე საშუალება იღონოს და თავიანთი სამწესოები მიაჩვიონ სასულიერო და ზნეობრივი შინაარსის წიგნაკების კითხვას. თვითონ ჩვენი სამღვდელოებაც მოვალეა კარგად გამოიკვლიოს და შეისწავლოს თავისი ეკკლესიის ისტორია და ცხოვრების ვითარება.

რედ. დეკ. დ. ღამბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინელი ნიაღვარი.

წარსული ოქტომბრის რიცხვებში ისეთი დიდი ნიადვრობა იყო, რომ იგი დიდხანს დარჩება ხალხში მოსაგონებლად თავისი უბედური და საზარალო შედეგებით. წვიმა დაიწყო 27-დან ჯერეთ ცოტ-ცოტა და ოც-და-შვიდ რიცხვიდან იწვიმა მთელს ოც-და-რვა რიცხვს. მდინარეები ყვირილა ჯ რაც ყვირილას წულები ჩაერთვიან მეტის მეტად მოდიდდენ. პირველი საათი იყო, როცა 28 რიცხვს ქუთაისიდან გამოვედით. ქურები გადავლილი იყო ნიადვრებით. თხრილები ამომსილიყვნენ და წყალი ქურებში მიდიოდა. ქურების შემხედავი კაცი არ იყო. მეორე საათზე რიონიდან რკინის გზის მატარებლით მოვედით წყალწითელას ხიდზე, მაგრამ წყალწითელას ხიდის ქვეშ მიდამოები მთლად დაფარული იყო წყლით. მივადექით ყვირილის ხიდს. ყვირილის ხიდი საშიშარ მდგომარეობაში იყო. ძლივს გამოვიდა მატარებელი და მეორე დღეს კიდეც დაიქცა ეს ხიდი. ოთხ საათზედ მოვედით ყვირილაში ჯ აქ დავრჩით. მდ. ყვირილა საშიშრათ მოდიდდა. 28 სადამოს ექვს საათზედ წყალი შევიდა რამდენიმე დუქანში. წვიმა განიადგებული იყო მთელს ზემო იმერეთში. 28 ოქტომბერს, 11 საათზე სადამოით ყვირილის ხიდის ბურჯთან აშენებული ო. თუთბერიძის სამი ქვითკირის ორსართულიანი დუქანი დააქცია. ნაშუადამევის პირველ საათზე კიდევ მოიმატა წყალმა და გადიარა ყვირილის ხიდი, რომელის სიმაღლე $3^1/_2$ სჟ. არის ძირიდამ და სიგრძე 56 საჟენი. მეორე საათზე წყალმა დააქცია ხიდის მარჯვენა მხრის ბურჯი ჯ მიჭყვა ქვეით მიყოლებული დუქნების განადგურებას. ქვითკირის დუქნებს ძირს უთხრიდა მოზღვაებული ყვირილა ჯ დიდის ხრიალით აქცევდა ორსართულიან შენობებს. მოგლიჯა წყალმა მშვენიერი ეზო-ბაღი ი. ცერცვაძისა და დააქცია ქვითკირის ორ-სართულიანი მშვენიერი 8 ოთახიანი სახლი. ამ სახლის ძირა სართულში ბ. ცერცვაძეს ჰქონდა საწყობი სავაჭრო ნივთებისა ჯ თვითონ თუ მოასწრეს გამოსვლა, თორემ სხვა ყოველივე წაიღო წყალმა. ნაშუადამევის მეორე საათის ნახევარზე წყალი გადგიდა ყვირილის სადგურის ლიანდაგზე. საშიშარ მდგომარეობაში ჩაგარდენ ვაჭრები და მცხოვრებნი, რომელნიც წყლის მხარეზე გზატკეცილს ქვემოთ იდგნენ. დაიწყეს დუქნებიდან და სახლებიდან თავისი ავლადიდების გამოტანა. მთელი ღამე ასე უბედურ შიშში გაატარეს. დილაზე წყალმა ცოტა დაიკლო, მაგრამ რადგან ხიდის ბურჯი გაფუჭა, წყალი გადმა ნაპირს მიაწვა და რბილი მიწა ადვილათ მიქონდა ჯ აქცევდა. 29, კვირას, 11 საათზე დილით დააქცია სპირია გაჩეჩილაძის ორ სართულიანი ქვითკირის შენობა. 29 ღამით დააქცია მაღრაძის კრძელი ორ-სართულიანი სამი დუქანი, ასე რომ ორშაბათს 30 შენობის არა დარჩენილა რა სრულებით. უეცრათ მოდიდებული წყალი ზოგიერთი დუქნების ძირა სართულში შევიდა და დაადგრჩო ცხენები, ღორები და სხვა საქონელი. ყველაზე მეტი ზარალი მოუვიდა ამ ნიადვრობით ყვირილის მცხოვრებ ვაჭრებს და ჯუქნის პატრონებს. სულ რომ ცოტა ვიანგარიშოთ, 200,000 მანეთის მეტია ზარალი. ხარაგოულში ერთი მედუქნე დაურჩვია მოდიდებულ წყალს.

ჭიათურის გზის ხიდები, შენობები და ლიანდაგი ისე გააფუჭა, რომ მათ გაკეთებას, თითქმის, იმდენიე დასჭირდება, რამდენათაც აკეთებდა ამ გზას თავდაპირველად ბ. რიდზეესკი და სიმბერგი. შორაპ. ნის რკინის გზის სადგური ინჟენერებისაგან დასაქცევად იყო აშენებული და კიდეც დაიქცა! წაიღო აჯამეთის, სეირის და ყარნეგის რკინის გზის ხიდები სრულებით და სხვა რკინის გზის მრავალი ხიდები დაანიანა. წაიღო გზატკეცილი ნახევარზე მეტი მარელისიდან ყვირილამდის. წაიღო სრულები ი რკინის ლიანდაგი, სადაც წყალი უახლოვდებოდა. რკინის გზაზე მიმოსელა ყვირილასა და ბეკანთუმანს შუა იქნება შეიძლონ მომავალ წელში, ხოლო ყვირილასა და რიონ შუა—თვენახევარში. ქალაქ ფოთის ზარალი და მჯინარეების ახლო მდებარე სოფლელებისა, როგორც ამბობენ, ძლიერ დიდია თურმე.

გზის შეკერას თან მოჰყვა გაძვირება ზოგიერთი ნივთებისა. უბედურობა ის არ ის, რომ ერთსა და იმავე დროს აღარც რკინის გზა არის და აღარც გზატკეცილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ მიეიღეთ წერილები სხვა და სხვა ადგილებიდან ამ ნიაღვრისაგან მოხდარ ზარალზე გარდა ზორაპნის მაზრისა. აი რას გვწერენ ჩვენ: «ტყიბულის რკინის გზა მრავალს ადგილას დაზიანდა. ორპირში წყალმა გადღიარა სოფლები და დიდი ზარალი მისცა მცხოვრებლებს. ბორჯომის რკინის გზა მრავალს ადგილას მტკვარმა წალეკა. გორი თითქმის წყალმა დამალა, ეს ორმოცამდის სახლი გაანადგურა და ხიდიც დაზიანა. აურაცხელი ტიები, სატიეთ დამზადებული მასალა და ტრავერსები დაიღუბა. ფოთში ყოველს ადგილას არშინზე აიწია წყალმა და ვაჭრებს და მცხოვრებლებს დიდი ზარალი მისცა. თფილისში, ამბობენ, მთელი რიყე წალეკაო». ერთი სიტყვით ზარალი ყველგან დიდია. საჭიროა მართებლობამ დაზარალებულ ხალხს შემწეობა აღმოუჩინოს. ჩვენ ვგონებთ, ეს ნიაღვარი ჭკუის მასწავლებელი და გასაფრთხილებელია ყველასთვის. თუ ასე მიდვრად გახდა ჩვენი ტყიანი მთები, უარეს ღონობას უნდა მოველოდეთ. საჭიროა და ფრიად საჭირო, რომ ტყეების დაცვისათვის რამე რიგიანი ღონე იხმაროს.

დეკ. დ. ღამბაშიძე

მოხუცებულის მოგონება წირვა-ლოცვის შესახებ.

აწ გარდაცვალებულს თავადთ იოანნეს დიმიტრი ანტონის ძეთ ერისთავებს ქონდათ თავისს ოჯახში საჯვარე ეკლესია, რომელშიაც, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის განკარგულებით—მუდამ დღე სრულდებოდა წირვა-ლოცვა. ყოველს დღესასწაულს და კვირა დღეებს დიდის სიწმიდით და მხიარულებით ვეგებებოდით ყველა მცხოვრებნი. როგორც კი დიდი მარხვა დაიწყებოდა, მარხვის პირველ დღიდგან მოკიდებული თევდორობის შაბათ დღემდის ერთი ოჯრის მეტს არ მიიღებდენ მაზიარებელნი და იმასაც უმარილოთ და უღვინოთ. ასე იღებდენ წმინდა ზიარებას სიწმინდით და გულ-მოდგინეთ. შემდეგ ამისა ამავე წესით ასრულებდენ ოთხშაბათ-პარასკევს დიდი მარხვის გათავებამდე და სიწმიდით ეგებებოდენ ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს. ამ სახით ყოველ დღე წირვა-ლოცვა სრულდებოდა ამ თავადების ოჯახში და თვითონ ეს თავადებიც არ აკლდებოდენ წირვა-ლოცვას.

ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს ასე ეგებებოდენ: აღდგომის წინა დღით, შაბათს დამეს, აანთებდენ ეკლესიის გარეშემო დიდრონ ლამპრებს ერთიდან ოცამდის და სადამოდან მოკიდებული გაუწყვეტელი ზარების რეკა იყო დილამდე. თუ რა დროს უნდა წასულიყო საზოგადოება წირვაზედ, ეს გამოცხადებული იყო წინათვე. პირველათ რომ ზარბაზანს ისროდენ, მაშინ უნდა ამდგარიყვნენ ლოგინიდან მცხოვრებნი ამა სოფლისა კაცი და ქალი. როცა მეორეთ ისროდენ, მაშინ ხალხი უნდა გამგზავრებულიყო ეკლესიაზე. მესამე გასროლის დროს მღვდელი, შემოსილი თანაარსითა და მგალობლებით მზად იყო ეკლესიის გარს შემოსავლელად. როცა წირვა დასრულდებოდა იმავე საჯვარის ეკლესიაზე ორი სტოლი იყო გაწყობილი ზვარაკებით, პასკებით და სხვა-და სხვა საჭმელებით. სანამ მღვდელი ეკლესიიდგან არ გამოვიდოდა და არ აკურთხებდა სტოლს, მანამ ლუკმას არავინ აიღებდა. შემდეგ სტოლის კურთხევისა მთელი ამ სოფლის მცხოვრებნი ისე დაკმაყოფილდებოდენ, რომ სადილი ადარ აყო საჭირო. შემდეგ შეიქმნებოდა წითელი კვერცხების დაკვრა და იყო საზოგადოება მხიარულებაში. დღეს ის ზარბაზანი, რომელიც გვაუწყებდა ხოლმე ქრისტეს აღდგომის დღეს, ეკლესიაზედ უხმოთ და უპატრონოთ აგდია იმავე ადგილზედ. მართალი უნდა ვთქვა, რომ ძველ დროში სოფლის ზეინდრის მცხოვრებნი ძლიერ ლვთის-მოშიშნი და მლოცველნი იყვნენ. აღდგომის დილას ეკლესიაზე სტოლის გაწყობა იყო თავადთ იოვანე და დიმიტრი ანტონის ძის ერისთავების საქმე. დღეს სუკველაფერი გადასხვაფერდა. მართალია თავადნი იოვანე და დიმიტრი ანტონის ძენი, დავით გრიგოლ ლევანის ძე ერისთავები და ნიკოლოზ გრიგოლის ძე ლორთქიფანიძე დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყვარული იყვნენ წირვა-ლოცვისა და სარწმუნოებისა. ისინი გარდაიცვალენ, მაგრამ ასე არ უნდა დასუსტებულიყო სარწმუნოება. სოფელს ზეინდრის მკვიდრთა შორის დღეს, არა თუ კვირა უქმე დღეს, არამედ ქრისტეს შობის დღეს, ნათლიღებას, და არც ქრისტეს ადდგომის დღეს წირვა-ლოცვა არ არის. ვგონებთ, სამი წელიწადი იქნება, რაც წირვა არ მოუსმენიათ აქაურ მცხოვრებთ. ამის შემდეგ განა გასაკვირველია, რომ დღეს ცუდი ყოფა-ქცევა და ავკაცობა არის გავრცელებული აქაურებში? ალბათ ადგილობითმა სასულიერო მთავრობამ არ უწყის ეს, თორემ ასე როგორ გაუშვებს უმდვდლოდ ს. ზეინდრის მკვიდრთ.

დღეს ზეინდარში მრავალი ქალი და კაცი მოიპოვება, რომელთაც, ათი-თორმეტი წელიწადი იქნება, რაც წმ. ზიარება არ მიუღიათ და აღსარება არ უთქვამთ მდვდლისათვის და განა ასეთ კაცს შეუძლია თავისს თავსს ქრისტიანი უწოდოს? ყოველივე ამის მნახველი ჩემსავე ქერქში იტანჯება ძველი დროის მომსწრე და ამა დროის მაკურებელი. არ ვიცი, რა ნაირად უნდა მოვიქცე! თუმცა შტატის ეკკლესია არსებობს სოფელს გორაში, მაგრამ იმ ეკკლესიამდის ზეინდრიდან ოთხი ვერსი მეტი იქნება და გზაც ძრიელ გაფუჭებულია, რაისა გამო შტატის ეკკლესიაზე მისვლა არ შეიძლება. გარდაცვალებული თავადების წუალობით საჯვარის ეკკლესია ორი იყო ამ სოფელში: ერთი იყო იოვანე და დიმიტრი ერისთავის ეზოში, რომელიც დღეს უკვე გაყიდა მემკვიდრემ ამა ერისთავებისა-ამ გიორგი ერისთავმა.

მეორე საჯვარის ეკკლესია დღესაც არის დავით ნიკოლოზის ძის ლორთქიფანიძის ეზოში. მაგრამ მასში წირვა-ლოცვა არა გვაქვს ჩვენი დაუდევრობით.

კორესპონდენცია «მწყემსი»-სა

სოფელ მამათადგან

(ოზურგეთის მაზრაშია)

ხშირად ვკითხულობთ გაზეთებში, რომ ამა და ამ სოფელში გავრცელებულია მკითხაობა და საჭიროა ამ სამწუხაროდ ხალხის მავნებელ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება ექნეს მიქცეულიო. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გარემოებას ყურადღებას არავინ აქცევს.

მე, ამ სტრიქონების დამწერი დავესწარი ამას წინეთ ერთ შემთხვევას სოფელ მამათში. აქაურს გლეხს გ. კ—ძეს ერთი წლის ვაჟი გაუხდა ავად ანთებით. იმ წამსვე, ნაცვლად ექიმისა, მშობლებმა მიაშურეს ს. ულაში მცხოვრებელს ერთ მოხუცებულ დედაკაცს, რომელიც მკითხაობას ჩემულობს. დედაკაციც, რასაკვირველია, ერთი საათის შემდეგ ავადმყოფთან გაჩნდა. ამ დედაკაცმა გასინჯა ავადმყოფი «თავისებურად» და თქვა, რომ ავად-მყოფი «უქმურით» არის ავადო, და კიდევაც მოვარჩენო, თუ ერთ თუმანს მომცემთ წინდაწინვე. ავადმყოფის მშობლებს, ცოტა არ იყოს, ეშინოდათ ერთი თუმანი, (სახეში იქონიეთ, რომ ზემოხსენებული გლეხი უკიდურეს მდგომარეობაშია,—დარიბია), მაგრამ ვინც კი მის სანდროს მოარჩენდა, მისთვის, ვგონებ, სიცოცხლესაც არ დაზოგავდა. ავადმყოფის მშობლები, როგორც იქნა, დიდის ხვეწნის შემდეგ ხუთ მანეთად გაურიგდენ. დედაკაცმაც მედიდურად ამოიღო ჯიბიდან რადაც ტენჯის ოდენა ორი ნაჭერი და თქვა, რომ ამაებში ერთი იესო ქრისტეს ხორცის ნაჭერია, ხოლო მეორე იესო ქრისტეს სისხლის ნაკვეთიო. ჩადვა ეს ნაჭრები ერთ ბოთლ წყალში, რადაც ორი სიტყვა წაიდუდღლუდა ჩვენდა შეუმჩნევლად და შემდეგ ამოიღო ისინი წყლიდან და თქვა, რომ ავადმყოფი მოარჩენილიაო. და არხეინად გაუდგა გზას. არ გასულა სულ ორი საათი, რაც მკით-

ხ

ი წავიდა, რომ ᲣᲛᲐᲬᲕᲘᲚᲡ მომეტებული სიცხე მისცა, და რომ ᲔᲒᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ არ დაგვეძინა, თქვენი მტერია, ᲣᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ უდროოდ გამოესალმებოდა ამ წუთისოფელს.

როდის უნდა აღმოეფხვრას ძირი ამისთანა ᲮᲐᲚᲮᲘᲡ მცარცველ მატᲣᲣᲐᲠᲐ მკითხავებს?!...

საᲭᲘᲠᲝᲐ და ფრიად საᲭᲘᲠᲝ, რომ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ მიექცეს ამ სამᲬᲣᲮᲐᲠᲝ მოვლენას ვისგანაც ᲯᲔᲠ არს.

ᲑᲐᲠᲗᲝᲚᲝᲛᲔ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ.

რაფიელ ერისთავის იუბილეის გამო.

დღეს შეგისრულდა, პოეტო, ორმოც-და ათი წელია,
მას აქეთ, რა რომ სიწმიდით კალამს მოჰკიდე ხელია,
თვით შენი ტკბილი ლექსები გრძნობათა მომხიბლელია,
იმავ დროს ბოროტებისა ძირითურთ ამომფხვრელია.

შვილსა დიდებულ ქეეენისას, აღზრდილსა მისსა მკერდზედა,
გეწადა მარად გეფიქრა შენ სამშობლოის ხეეერზედა,
ხედავდი უმეცრებისა ᲣᲚᲔᲚᲘ აწვა ქედზედა,
გწყუოდა რითმე გეშველა დაბლა მდგომ მოძმეებზედა.

მოძმეთა შორის სახელი დაიმსახურე წერითა,
აღნუსხე გულის წადილი პატარა კალმის წვერითა,
მომაყოლისაკენ გიწვეედა სამღვთო სურᲔᲚი ფრენითა,
ვით სეიმენი, შენც ცასა შეჰყურებ თეთრის წვერითა.

ᲒᲐᲨᲛᲐᲒᲔᲑᲣᲚᲡᲐ ᲖᲚᲔᲕᲐᲡᲐᲘᲗᲘ შაᲘᲡ ფიქრᲔᲑᲘᲡ ᲦᲚᲔᲘᲗᲐ,
გინდოდა გადაგეარა მთა, ᲑᲐᲠᲘ, ᲦᲚᲔᲚᲔ თᲔᲚᲔᲘᲗᲐ,
სიმართლე აღმოაცენე უსამართლობის ᲪᲔᲚᲔᲘᲗᲐ,
სიბნელეშია მიმავალს გზას უნათებდი ᲔᲚᲔᲘᲗᲐ.

ᲐᲮᲐᲚ-ᲗᲐᲛᲝᲑᲐ დღეს აღგას შენს გაკაფულსა გზაზედა,
და ჩანგზე ამას დამღერის ის თავისუფალ ხმაზედა:
სამშობლო დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა,
როგორც უფᲚᲘ, სამშობლოც ᲔᲠᲗᲘᲐ ქეეყანაზედა.

მღერის და თანაც მხნეᲓᲔᲑᲐ, შენᲡᲐᲠᲘᲡ მიზᲜᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲡᲐ,
ᲔᲕᲔᲠ ᲕᲘᲜ ᲐᲤᲔᲠᲮᲘᲡᲔᲑᲡ ფიქრᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲠᲘᲡᲙᲚᲐᲕᲗᲐ თანაზიᲗᲘᲡᲡა,
მიქროლავს, არ ეპᲧᲠᲔᲑᲐ ᲑᲔᲓᲘᲡ ᲣᲙᲣᲚᲛᲐ ᲢᲠᲘᲐᲚᲡᲐ,
ᲘᲪᲘᲡ ᲝᲚᲓᲔᲡᲛᲔ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ დასᲫᲚᲔᲕᲡ ᲬᲧᲓᲘᲐᲚᲡᲐ.

ᲮᲨᲘᲠᲐᲓ მოგსᲚᲘᲐ მის გამო. შენ მწᲐᲠᲔ ᲙᲔᲜᲔᲡᲐ, ᲥᲔᲘᲗᲘᲜᲘ,
რომ ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ იᲤᲔᲠᲡᲐ აღᲐᲠ გაᲣᲦᲘᲡ ᲑᲘᲑᲘᲜᲘ,
მამულის ტრფობაᲓᲔ დასახე შენ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲦᲘᲦᲘᲜᲘ,
აწ დაიᲦᲐᲚᲔᲗ, მოხᲣᲪᲓᲘ, თავს გᲮᲣᲠᲐᲕᲡ თეთრი გᲔᲠᲒᲕᲘᲜᲘ.

მას, ᲕᲘᲜᲪ ᲔᲠᲗᲝᲛᲐᲡ სიწმიᲓᲘᲗ ამᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲓᲘ ᲙᲐᲚᲐᲛᲡᲐ,
ᲓᲦᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ თაᲧᲕᲐᲜᲡ ᲡᲪᲔᲛᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ მწᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ მამასა,
საᲔᲠᲗᲝ. ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲗ გიᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ თანაგრძნობასა,
და თვით ფᲔᲠ-მᲙᲠᲗᲐᲚᲘ გᲣᲠᲘᲐ დასავლით გიძᲦᲜᲘᲡ სალამსა.

ᲕᲘᲜᲪ მოიპოᲕᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲐ მოძმეთა ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲜᲘ,
ᲕᲙᲣᲘᲗ განᲡᲯᲔᲠᲘᲢᲐ, ᲕᲘᲘᲒᲜᲝ ᲕᲘᲜᲐᲪ ᲦᲕᲗᲘᲣᲠᲘ მᲪᲜᲔᲑᲐᲜᲘ,
იმას მოᲔᲚᲘᲡ, დაატᲙᲑᲝᲡ ᲪᲘᲣᲠᲘ ᲜᲔᲢᲐᲠᲔᲑᲐᲜᲘ,
შარავანᲓᲔᲚᲘთ მოსილს ᲰᲧᲝᲤᲡ მის სახᲔᲚᲡ ᲣᲙᲔᲓᲐᲕᲔᲑᲐᲜᲘ.

გრიგოლ გუგუნავა.

1895 წ. 22 ოᲙᲢ. დ. ნაგომარი.

ᲩᲔᲛᲘ ᲕᲘᲜᲐᲝᲑᲐ *).

მე ქართᲔᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲩᲔᲛᲘ სამშობლო
ᲝᲑᲩᲘᲡ სოფᲔᲚᲐᲓ წოᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ;
წᲘᲜᲓᲐ ᲰᲐᲔᲠᲘᲗ, ᲙᲐᲘ მოხᲐᲕᲚᲘᲗ
ᲖᲔᲛᲝ იმᲔᲠᲔᲗᲡ ᲘᲡ ᲥᲔᲑᲣᲚᲘᲐ!

—

მე ᲩᲮᲔᲘᲫᲔ ᲕᲐᲠ, ᲙᲐᲪᲘ ᲣᲑᲔᲓᲝ
მუᲮᲗᲐᲚ სოფᲚᲘᲡᲒᲐᲜ დაᲩᲐᲒᲠᲣᲚᲘᲐ,

---

*) შეუცვლელად გᲔᲫᲓᲐᲕᲐ ამ ᲚᲔᲥᲡᲡ ᲐᲒᲢᲝᲠᲘᲡ თᲬᲝᲒᲜᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მე ჩემ ბელს მაინც არ ეჩივი,
სულ სხვისთვის მტკივა მე ეს გულია!

—

მე სანდრო მქვია, ჩემ ქოხის კარი
საწყლებისათვის გაღებულია.
მდიდარი არ ვარ, მაგრამ რაცა მაქვს,
საწყლებს რომ ეახმარ-გაგებულია!

—

მე პოეტი ვარ, ჩემი ხელობა
ძვირფას სამშობლოს სამსახურია;
მოძმების შველა და თავ-განწირვა,
სიყრმიდგან ჩემში ჩანერგულია!

—

მიყვარს საწყალი, ქერეული, ობოლი,
და ვინც ამ ქვეყნად დაჩაგრულია,
რადგანაც ყველა აქ ჩამოთვლილი
ჩემთან ტაფაში ჩახრაკულია!

—

თუ შემიძლია, არას ვიშურებ,
სულ მათკენა მაქს მუდამ ყურია;
არ მაქვს გამოთქმა, თუ მათი შველა
ამ საწყალ გულით როგორ მწყურია!

—

მძულს მათი მტერი და მოღალატე,
ვისაც საწყლების სისხლი სწყურია,
ვინაც რომ ცდილობს საწყლებს წაართვას,
რაც ამადიათ ლუკმა პურია.

—

სამშობლოს მტერი და მოღალატე,
ყველაზე უფრო ჩემგან კრულია,
იმედი არის, რომ დამიჯერებთ,
[illegible]ადგან არ მითქვამ მე აქ ტყულია!..-

სანდრო ყ. ჩხეიძე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ჩვენ მივიღეთ პატივცემული ი. როსტომაშვილის გამოცემანი: «მოდი ენახოთ ვენახი» და «რწყილი და ჭიანჭველა.» წიგნები დასურათებულია და შედგენილია პატარაებისათვის. პირველი წიგნი შესდგება თორმეტი გვერდისაგან და ღირს ორ შაურად, მეორე შესდგება თექვსმეტი გვერდისაგან და ღირს სამი შაური. მშვენიერი რგვალი ხელით არის დაბეჭდილი წიგნები. წიგნი ერთსა და იმავე დროს საკითხავად და საწერათაც გამოსადეგია ყრმათათვის. ბ. როსტომაშვილი ბეჯითად შესდგომია თავისს საქმეს და იმედია შრომას არ დაზოგავს ჩვენი ყმაწვილების სასარგებლოდ. დროა გავრცელდეს ჩვენში ყმაწვილებისათვის სასარგებლო საკითხავი წიგნები...

* * *

17 ოქტომბერს ქუთაისის საკრებულო ტაძარში იყო შესრულებული არქიერისგან წირვა და შემდეგ წირვისა გარდახდილ იქმნა დაწესებული პარაკლისი.

* * *

როგორც გაზეთებიდან ვეტყობილობთ წლის თავზე განსვენებულის ხელმწიფის ალექსანდრე ალექსანდრეს ძის სულის მოსახსენებლად აღაპი იყო გამართული ხელმწიფე იმპერატორისაგან ღარიბ მცხოვრებთათვის პეტერბურღში, მოსკოვში, კიევში, ხარკოვში, კოსტრომაში, იალტაში და იმ ქალაქებში, სადაც ხელმწიფის სასახლები არის, მაგალითებრ გატჩინოში, პეტერგოფში და მეფის სოფელში. ამავე დღეს განკარგულებისამებრ მიტროპოლიტს პალლადისა ორი ათასი ღარიბისათვის იყო სადილი გამართული მიტროპოლიტის და ლავრის საშუალებით.

* * *

ნოემბრისთვის უკანასკნელმა ნიაღვრობამ დიდი ზარალი მოიტანა ხალხისათვის, სურამის ქედიდან მოკიდებული ფოთამდის ასეთი ნიაღვრობა არ ახსოვსთ დიდი ხნის კაცებს.

* * *

ბ. ლიეიკა. დირექტორი ქუთ. გუბერნიის სახალხო სკოლებისა, სასარგებლოდ რაცხს, რომ რუსეთიდან დაიბაროს ჩვენი სოფლის სკოლებისათვის მასწავლებელნი. გამოწერილია ყვირილის ნორმალურის და კიცხის სკოლებისათვის მასწავლებელნი, მაგრამ ჯერ-ეთ არავინ მოდის და მათ მაგიერდროებით ქართველები დანიშნული. ამითანა მასწავლებლები ლიეიკის მუნჯური მეტოდით შედგენილი წიგნის სწავლებას ხელს უწყობენ და ბლომათაც იყიდება. არ გაგვიგონია ჯერეთ, რომ სადმე რომელიმე უფროსს თავის გამოცემა სავალდებულოთ გაეხადოს თავისს ხელქვეითებისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს პირველი მაგალითი უნდა იყოს ქუთაისის დირექციაში.

***

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების რიგის კრება ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის და სემინარიის შესახებ საქმეთათვის დანიშნულია ნოემბრის 28, 29 და 30 რიცხვებში. ამ კრებაზე სამღვდელოებას ბევრ სხვა საქმეებზედაც შეხვედება მსჯელობა და მოფიქრება. ძლიერ კარგი იქნება, რომ სამღვდელოების დეპუტატები კარგად მომზადებულნი ჩამოვიდოდენ კრებაზე. იმედია, სამღვდელოება ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს სამთლის ქარხნის და მისი წარმოების საქმეს, რადგან სანთლის წარმოების საქმე ერთი საიმედო წყაროა სასულიერო სასწავლებლების არსებობისათვის. ძლიერ სასიამოვნო და სასარგებლო იქნება, რომ ყველა ახალმა დეპუტატმა ერთხელ მაინც წაიკითხოს სასულიერო სასწავლებლების წესდება, დადგენილობანი და კანონები სამღვდელოების კრებების შესახებ, რომ კრებაზე ადვილათ ასცდენ უბრალო და უსარგებლოდ დროების დამკარგველ მჭერ-მეტყველობას...

***

ოკტომბრის თვის «მწყემსის» ნომრები, თავის დროზე მიცემული ყვირილის ფოსტაში, როგორც შევიტყეთ, ისევ გაუგზავნელი ყოფილა გზების გაფუჭებისა გამო. ამ დღეებში აპირებენ გაგზავნას ქუთაისით, რადგან დღეს ერთად ერთი გზა ფოსტისა ზღვით არის თფილისისკენ.

***

იმედია ქუთაისის ეპარქიალური ქალების სასწავლებლის გამგეობა ეხლა მაინც მისცემს სამღვდელოების კრებას ანგარიშს ამ სასწავლებლის შესავალ გასაელისას.

საჭიროა სამღვდელოების კრებამ კარგად განსაზღვრის 45 ათასი მანეთის ხელ შეუხებელი თანხის შესაესებლად ფულების შეტანა სამღვდელოებისაგან, რადგან ზოგიერთებს სურს, რომ ამ გადასახადს დასასრული არ მიეცეს...

საქართველოს ძველი დროს თავ-გადასავალი.

(გაგრძელება *)

აჭ მეფისა ბაგრატისაგან მოწვევა ლაშგრად ოსთა და ყივჩაღთა მეფეთ მათითურთ, დახდომა ხაჯარმაგეესა შურადღებითა, და ძისა თვისისა გიორგის მიტევა სხვასალართ მოაგრობისა და კაკუზანი განძისა და ზემომხარეთ შეკირთებად სპარსთა ზედა, და ძღვეა შემოსით შემოქცევა მეფის ძის გიორგის მამასა თვისსა

თანა ალაფთა დადგობითა.

მოიმუო ოესთა ლაშქარი, რიცხვით ოთხასჯერ ასები,
თვით მეფეთ მათით შემოკრბენ ჭურვილთა დასთა დასები,
მეფემ ებოძა მრავალი, დამოსა მათი ხასები,
მტერთ ეფადიან გულითა, არიან მათნი მნახები.
მეფე დახვედა ნაქარმაგეეს ჰმატა შვებით სიხარულსა,
მისნი ყმანი შეიმოსდენ ტანზედ ჯაჭვსა ხვარაზმულსა,
შეილსა მისცა სპასალრობა, მამაცობით ყოვლად სრულსა,
უწინამძღერა მოხარულნი, განძაღ ჰყოფდენ სიარულსა.
მიეიდნენ სპარსთა კიდეთა, წინაალმდგომთა სრვიდესა,
აოხრებდიან ქვეყანას, ტყვეთა მრთელთაცა ჰკვლიდესა,
სადაცა შეხვდესთ შენობა აღმოფხვრით აოხერიდესა,
მოსრვიდენ ძტერთა უწყალოდ ვითა თიეთა სჭრიდესა.
შეუდვეს ცეცხლი, გარდასწვეს მინდორით მთათა-შენობა,
წარსტყვენეს დიდი და მცირე, შეუქმნეს ცრემლთა მდენობა,
განიმრავლებდენ ალაფსა არ შეხვდათ გულთა მწველობა,
ალსწტყვიტეს იგი კიდენი, იყო ხიხლისა მდენობა.
აღიესო რაზმი ყოველი ტყვითა და ნაშოვარითა,
ალავესეს ერცელნი მინდორნი ძროხა და ფარა ცხვარითა,
ჰასაკსა მყოფნი მოსწყვიტეს გულითა შემუქარითა,
გამოემართენ სიმშვიდით ელიდენ გონება წყნარითა.

ბ. «მწყემსი»-ს № 15, 1895 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესე პირველი სახელი ჰყო გიორგიმან მხნემანდა,
იუდას ლეკვმან ლომი(ს)მან, თვით ბაგრატისა ძემანდა,
ყრმობისა ჟამსა დიდებულ ესრეთ ჰყო თვისმან სვემანდა;
კელავ განუნათლა ქართველთა ღღენი მნათობმან მზემანდა.

მოეიდნენ გამარჯვებულნი, იქმნენ მეფისა ხლებულნი,
სვოანმცა არსი მეფობა თქვენით, ხმობდეს კრებული;
ულოცვიდიან მთავარნი მრავალნი გახარებულნი,
მაშინ შეიქმნენ ქართველნი კელა მტერზე ამაღლებულნი.

იმეფა ბაგრატ მეფემან მრავალნი ჟამნი სვინად,
ვინცა ურჩ ექმნის განაძის, ისე აკმარის ზიანად,
თუ განსდგებოდნენ მთავარნი დიდ-დიდნი თვისის ყმიანად,
მალ შეანანის შერისხვით, შეუნდვის არა გვიანად.

იყო უზომოდ მოწყალე, შემკოდეთ მიმტევებელი,
უყვის წყალობა, თუ სადა იხილის შემნანებელი,
არ იხსენებდის ავირსა და ჰგებდა შურთ დამვიწყებელი,
უხვად გასცემდა, დაადგის არასად აღუეხებელი.

ესრეთ მორჭმულმან იმეფა, სიბრძნითა აღმატებულმან,
დაიცვა თვისი ყოველი, სახელით განდიდებულმან,
ნადიმობასა გამცემმან, ბრძოლისა ჟამსა ქებულმან,
სახისა შეენიერებით მართ ვარდებრ აღყვაებულმან,

თურქთა სულთანმან მრავალ გზის უგზავნა მოციქულები,
ძღვენი მძიმენი, სტავრანი კერილნი, უკერილები,
სთხოვდა ხარკისა განკვეთას, მყოო მით მხიარულები,
ამით შევაწყენეთ უთიერთს ჩვენ სიყვარულით გულები.

მეფეცა ჰსძღვნიდა სანაცვლოდ, სწერდა წერილსა ტკბილებსა,
ესთ ატარებდნენ დროებსა, ჰყოფდნენ ჟამთ გამოცვლილებსა,
არ ღირს ჰყო მეფემ სულტანი თვისსა მას საწადილებსა,
სამარყანდს შესრულს უმუხთლეს, მისცეს სიკვდილის რულებსა.

დიდისა და ძლიერისა ქართველთა მეფისა ბაგრატისა გარდატვალებაჲ, და ნაცვალად მისა გამეფებაჲ ქართველთა ზედა ძისა მისისა გიორგი გულოვანისა მეფისა, რომელისა ჟამსა აღსტყდა მრავალი აღრეულებაჲ და ბრძოლანი.

ესამთა გარდავალეს, ბაგრატცა მეფე შეიქმნა სნეულად,
სოფლისა ქცევა წესითა, იქმნა სიკვდილის ძლეულად,
იგლოვეს ყოვლთა ერთობით, ჩვეულებრ, წესი წდეულად,
ძე მისი, მეფე გიორგი აღვიდა ტახტზე რჩეულად.

ამისსა დროსა ქართველთა ჰყვეს დიდი აღრეულება,
განსხდენ თვის-თვისად, მთავართა იკადრეს შეორგულება,
განირყენა ერი უზომოდ, ჰქმნეს კეთილთ დაკარგულება,
მათთვის ილმობდა გიორგი, ჰყო სპათა აღკაზმულება.

შეანანა ორგულ-ქმნილნი, დაამონნა თვისსა ბრჭალსა,
განამაგრა გარემონი, მოუმატა სიმხნით ძალსა,
შეუნდობდა შემკოდეთა, ნიჭს აძლეოდა უშურველსა,
მისნი მბრძოლნი ყველაკანი აქებდიან მას გულ-სავსა.

მოსვლა სულთანისა საქართველოსა ზედა, მამოსდგა და მალედ უკუქცევა და სარანგთა რაზმისა დატყვევება ქართველისა მიდამოთა შინა.

მოეიდა მძლავრი სულთანი, მიმოელო ქართლის არესა,
შემუსრა ადგილ-ადგილად, შთაყარნა ღელესა მწარესა,
მალ უკან იქცნა, სარანგნი დასტოეა განძის კარესა,
იყვნენ ჰამრეითა ურიცხვენი, იქ მიდამონი ჰფარესა.

მომართეს მეფეს რაზ მწყობითი, სარანგნი განძეინდებოდეს,
აქეთით მეფით ქართველნი გულსრულად მიეგებოდეს,
ჰყო ბრძოლა მარჯვედ მეფემან, სარანგნი აღსპებოდეს,
მცირედნი ვინმე ცხენრბეეთ სიკვდილსა გადურჩებოდეს.

ზეგარდამოსა ძალითა მეფე გიორგი მხნეობდა,
მობრუნდა სარანგთ მძლეველი, მორჭმული მტერთა მზეობდა,
წარუხვნა იოანთ ანაკოფ-კლარჯ-შავშეთს მათდა მძლეობდა,
არტანუჯ, ჯავახეთს მყოფთა, ბერძენთა სპათა მრეობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლავრისა მის მეღიქმა სულტნისა კანმეინება ქართველთა მეფესა გიორგის ზედა, შეკრება სრულისა სპარსეთისა ჯარისა და წამოსვლა საქართველოსა ზედა მრავლისა ათასითა რაზმითა.

ძალავ აღსდგა დიდი სულტანი, რაზმებთა განმრავლებითა,
განძეინებულმან წარმოველო ქართველთზე განრისხებითა,
დაფარა ყოელნი კიდენი ლაშკრისა განდიდებითა,
იწყო ოხრება ქართლისა საქმისა ფიცხელებითა.
ალიესო მთა და ბარები, გახშირდა სულტნის ჯარები,
სრულად მოიცვეს სიმრავლით ქართლოსიანთა მხლეარები,
ესე მელიქმა სიდიდით იყო სხვათ შეუდარები,
უწყალო, ბილწსა, ბოროტსა არ ჰბრალდის მემუდარები.
სრულ მოაოხრა სომხითი, მოადგა ციხე მყარებსა,
შემესრა ძალით სამშვილდე, ადენდა სისხლის ღვარებსა;
რა გაძღა სისხლის დაღვრითა, გაბრუნდა, სლვას ხდა ჩქარებსა,
წარმოავლენდა სარანგთა რიცხვითა მიუმხედარებსა.
მოდგეს სამშვილდეს, დაიცნეს სარანგთ ურიცხვნი კარავნი,
ვითა ფუტკარნი განმრავლდენ, მთაველთა და ცა მფარავნი,
იყენენ მესისხლედ მებრძოლნი, მხილველთა გულთა მზარავნი,
ვულს მჯიღეს იცემდენ მეფისა გიორგის შემუქარავნი.

გიორგი ქართველთა მეფისაგან შეკრები სპათა თვისთა, და ბრძოლა ძლიერი სარანგთა ზედ, და სამხნეთა გიორგი მეფისათა ძლევა მათზედ.

მეფემან თვისნი ლაშკარნი შეჰკრიბნა ყოველის კიდისა,
მოჰმართა სარანგთ უშიშრად: საომრად მათდა ელიდისა,
დადგა პირის პირ საბრძოლად, არათუ დაერიღისა,
შეიქმნა ბრძოლა ფიცხელი, თვით მეფე მარჯვედ ჰკვლიდისა.
შეღრიკეს მათი სიმრავლე, ჰყვეს რაზმი შერეულები,
ჰყრიდიან ვითა ფურცელთა, შეძარწუნდენ შერყეულები,
ხოცდენ მამაცნი ქართველნი, მახვილ-ბასრ გამახულები,
სრულად აღ'წყვიტეს, შეიქმნენ ბოროტნი დაკარგულები.
მოსცა ღმერთმან ძლევა მტერთად, მოსრეს მტერნი მეფის ყმათა,
სრულ მოისპო ძალი მათი, ვერ ისმენდენ გლოვის თქმათა,
დაშთა მათი სამძიმარი, დიდებისა ყოფა კმათა,
ამრავლებდენ ქართლოსელნი თვისსა მეფის ქების ხმათა.

დიდად განძღიერება თურქთა ბერძენთა ზედა და მრავლთა იონთა ქალაქთა დაშერობა თურქთაგან და შენითა შემოსვლა ქართველოსისა ქვეყანასა შინა და აღგსება ლაშკრითა მათითა მათთა და ბართა

მაშინ განდიდნენ უზომოდ თურქნი, მიეცნენ ძალებსა,
შეჰქნეს კირთება ბერძენთად, განიმახვეედეს ბრჭალებსა,
დაიპყრეს კერძო მრავალი; მისცეს მძლე ნები ხმალებსა,
შეაიწრებდენ იონთა ბრძოლითა დამაშვრალებსა.
არ ჰქონდათ მოცალეობა, ბერძენთ მრავალ-გვარად ბრძოდიან,
ამისთვეს თურქნი მრავალთა ქალაქთა დაიპყრობდიან,
ვისცა შეხვედიან საბრძოლად უწყალოდ დაამხობდიან,
მწვე განძლიერდენ, თავსა სწორად არლავისა სცნობდიან.
მუნით მოჰმართეს ქართველთა ლაშკრითა შესაზარითა,
მოიცვეს მთა და ბარები გულით სწორ უპოვარითა,
მოსრვიდენ, ველნი აღიესნეს ქრისტიანეთა მკვდარითა,
აოხრდა ყოელნი კიდენი, ძნელ არს თქმა საუბარითა.
ვერღა ძალ იდვა მეფემან თურქთა პირის პირ დგომანი,
ზეგარდმო იყო აღძრული მაღლისა გულის წყრომანი,
არას არგებდა, იეწყა მეფისა ცუდნი შრომანი,
შექმნეს უფალთა მთავრელთა თავისა მათ განროვანი.

ეკკლესიანი წმინდანი ჰყვეს ცხენთა დასაბმელებად,
წმიდათა ხატთა ურიდად შეიქმნენ განმკიცხელებად,
სად მოასწრობდენ ქართველთა იყენენ გლახ შუა მჭრელებად,
ქვე დასცეს ციხე მყარები, შთაიდნენ საძირკველებად.
მოაოხრეს ბილწთა თურქთა, ძირად დაშთა შენობანი,
ვითა მხეცთა უსართულოთ, ქართველთ ხერელთ ჰყვეს შენობანი,
გვამთა შინა მიუვალთა აქვნდათ ცრემლთა მდენობანი,
ცოდვისა ძლით მიე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდატეხვებსა მხნისა მის ქართველთა მეფეს გიორგისა
და დაჯდომა მეფედ ძლიერისა და სასოდ-კანდდებულისა
ძისა მისისა დავით აღმაშენებელისა, ღვთისა მიერ ძალ-
შემოსილისა და წმიდათა თანა აღრიცხულისა.

ესრეთ გარდაველო საწუთო მხნემან მრავლისა
შრომითა,
სიბრძნითა სრულმან, ახოვნად ბრძოლასა შინა დკო-
მითა,
დაჯდა ძე მისი ტახტზედა დავით გულითა ლომითა,
სვე კეთილ სრული სახითა მჭვრეტელთა მოსანდო-
მითა.

მისსა მეფობასა თუ ჰბრძანო ჰაერი მოხარულო-
ბდა,
აცვრეედა ნამსა ტკბილსა და შვებითაცა განხმულო-
ბდა,
მთა განაცხრებოდა, ველები ყოველ მთ უნაკლულობდა,
იწყეს ჭიკჭიკი მფრინველთა, ბულბული სულწასუ-
ლობდა.

მისსა ესმა, დავით მეფედ დაჯდა ტახტსა მამის
წილად,
ყოველით კერძო სიხარული ყმათ შეექმნათ გული
ტკბილად,
ამად რომე დავით იყო სიყმით სიბრძნით განსწავლი-
ლად,
ღვთისა შიში, სიყვარული გულსა აქვნდა დანერგი-
ლად.

აღმესთო ყოველმან კრებულმან, სიხარულითა
ხლდებიან,
იტყვიან დღენი ცხოვრების აწ ჩვენნი განახლდებიან,
მტერთა ამაყად ქადილით მახვილნი დაჰბლაგვდებიან,
უშენთა ზედა თვის-თვისნი პატრონნი დამკვიდრდე-
ბიან.

დავითმან ძალი ზეგარდმო მოიღო მაღლით ძლი-
ერი,
აქვნდა გონება მაღალი და ცნობა გულის-ხმიერი,
მისისა ოდენ შეხედვით მართ განძღებოდა მშიერი,
აჰა მოეცა ქართველთა ყმები ნათელ-დღიერი.

წერილი რედაქტორთან.

მაამო რედაქტორო!

«მწყემსი»-ს მე-9 №-ში მოთავსებულია კორეს-პონდენცია ზუგდიდის მაზრიდან მ. დ. ბერულავასი. მ. დ. მე—ლავა მოგვითხრობს სამრეველო სკოლების ნიეთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მ. გ. ბერიძს საბალოჩინოში. იმედი მქონდა, რომ ვინმე პასუხს გაცემდა, მაგრამ იმედი გამიცრუვდა. ეხლა მე მსურს ვაცნობო მკითხველ საზოგადოებას, თუ რამდენად მართალია ხსენებული კორესპონდენცია. ამისათვის საჭიროა მოვიყვანო ზოგიერთი ადგილები მ. დ. ბერულავას კორესპონდენციისა: «ბოლოს მობრძანდა კრებაზე, მოგვითხრობს კორესპონდენტი, დეკანოზი ბერიძე და მან ძლიერ დაწვრილებით აუხსნა ხალს სკოლის მნიშვნელობა, სწავლის სარგებლობა და სხვა. მ. დეკანოზის სიტყვამ სასურველი გავლენა იქონია კრებაზე. ხალხმა ერთ ხმად მადლობა მოახსენა მ. დეკანოზს კეთილი რჩევისათვის და მასთან განაცხადა სურვილი, რომ იგი ფოსტის ფულთან ერთად სენაკის მაზრის ხაზინაში შეიტანს ყოველ წლობით ათას მანეთს (?), რომ ამ საზოგადოების ხუთ სამრეველო სკოლის მასწავლებლებს ჯამაგირად მიეცესთ თითოეულს ორას-ორასი მანეთი.» (ჯერეთ არც ერთი სკოლა არ არის გახსნილი) ბალოჩინს იმ დროებით, მართალია, ჰქონდა საზოგადოების კრება, მაგრამ საზოგადოებამ ერთ ხმად უარი გამოაცხადა სკოლის გახსნის შესახებ.

ხუთი სამრეველო სკოლა უნდა გაიხსნას სალხინოს საზოგადოებაშიო, სწერს მ. დ. ბერულავა. რომელთა მასწავლებლის ჯამაგირად საზოგადოებამ ათასი მანეთი გაიწერაო. ერთ საზოგადოებაში რომ ერთი სკოლის ადგილზე ხუთი გახსნილიყოს და ათასი მანეთი დანიშნოდეს მასწავლებლებს, ამისთანა მაგალითი არა თუ სალხინოში, არამედ მთელს სამეგრელოში არ ყოფილა ჯერეჯ.

სალხინოს საზოგადოება აკრაეს კავკასიონის მთის კალთას, რომლის იქით სვანეთია; ხალხის უმთავრესი ცხოვრების წყარო არის პირუტყვის მოშენება, რადგან მიწა ნაკლებ მოსავალს იძლევა და აქაურნი მკვიდრნი, როგორც სხვა მთიული ხალხი, ღარიბნი არიან.

1889 წელს დიდის ხალისით შეუდგნენ ხსენებულ საზოგადოებაში სამრეველო სკოლის დაარსებას გურიასამეგრელოს ეპარქიის სამოსწავლო რჩევის წევრი ბ. ძიმისტარიშვილი, მ. გ. ბერიძე და ადგილობითი მღ. ხუხუნი, რომელთა მეცადინეობით გაიხსნა შეა-გულ საზოგადოებაში ერთი სკოლა შემდეგი პირობით: ზემოხსენებულ პირთ სთხოვეს მის უგანათლებულესობას პრინცესა სალომე მიურატისას, რომ სკოლის დასაღგმელად ებოძა მიწა. პრინცესა სალომე მიურატისამ ნება დართო. შემდეგ ამ პირთ სთხოვეს მღ. ივანე ხუხუნს, რომ მას აეშენებია სკოლისათვის სახლი. ბ. ძიმისთარშვილი დაჰპირდა საზოგადოებას, რომ იგი მუქთად გამოუგზავნის მასწავლებელს სასწავლო ნივთებს და ზოგიერთ აეეჯეულობას; მასწავლებელი დათანხმდა ერთ წელიწადს მუქთად ესწავლებინა შარგიდებისათვის. ამის შემდეგ ძლიერ-ძლიობით დაადებინეს საზოგადოებას პირობა, რომ ერთი წლის შემდეგ ორას-ორასი მანეთი მიეცათ მასწავლებლისათვის წლიურად. პირველს წელიწადს პოლიციის დახმარებით ძლიეს მოიკრიბა მასწავლებლის ჯამაგირი. შემდეგ წელში, როცა შეუდგნენ მასწავლებლის ჯამაგირის მოკრებას, სკოლის შენობას ცეცხლი წაუკიდეს და მთლად გადაწვეს სასწავლებელი.

ამის შემდეგ რამდენჯერმე მოახდინეს ყრილობა მ. დ. ბერიძემ და სხვებმაც, მაგრამ საზოგადოება დაჟინებულ უარზე დგას, იძახიან: «არ გვინდა სკოლა, არ გვინდაო». აქ მარტო ბერიძის და ბერულავას ქადაგება არ კმარა. კარგი იქნებოდა, რომ ხუთ სამრეველო სკოლის ადგილზე ერთ რიგიან სკოლას გახსნიდნენ, რომ ამ მიყრუებულ მხარეში წერა-კითხვას მაინც გაავრცელებდენ. ადგილობით მკვიდრთ არა თუ ათასი მანეთის ასი მანეთის გამოღებაც არ შეუძლიათ.

მეთვალყურე.

საეჭვო კითხვების განმარტება.

მ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის «მწყემსი»ს საშუალებით განგვიმარტოთ შემდეგი საეჭვო კითხვები და მით გამოგვიყვანოთ იქნეულებისაგან:

1. მღვდლის წესის აგებაზე მღვდელ-მთავრის შენდობის წიგნი წაიკითხება თუ არა, როგორც ამას ასრულებენ ზოგიერთი მღვდლები?

ტიბიკონით არ უჩენს ამ ლოცვას და არც უნდა კითხულობდენ.

2) კრის კაცის წესის აგებაზე გარდა სასარგებლისა, გვერდსების და ასამღვდელოების თქმისა, მეფეკითხენს აქვს თუ არა უფლება მთელი ანდერძი წაუკითხოს მიცვალებულს მღვდლის ნება-რთვით?

ანდერძი, თითქმის, ნახევრობით გალობით უნდა სრულდებოდეს და მგალობელნი უნდა გალობდენ და თუ მგალობელნი არ არიან, შეუძლია წაიკითხოს მკითხველმა და მღვდლის სათქმელი მღვ. ელმა სთქვას. ჩვენში, დასავლეთ საქართველოშია ჩვეულება, რომ მღვდლები კითხულობენ საგალობლებს და საკითხავს და სწორეთ საქმე ჩვეულებაც არის.

3. რადასაც მიცვალებულის ანდერძის აგებაზე რამოდენიმე მღვდელი ესწრება და მთავარ-დიაკონი არ ჭყავთ, მიცვალებულის კვერეკს რიგ-რიგობით რამელი მღვდელიც იტყვის, ასამღვდელებელიც იმანვე უნდა სთქვას, თუ სხვა რამელმე მღვდელმა? ასამღვდელების თქმაზე მღვდელმა მიცვალებულს ჯვარი უნდა დასხნას თუ არა?

რომელ მღვდელსაც შეხვდება რიგით ასამღლებელი, კვერექსიც მან უნდა სთქვას.

4. დიდ მარხვის სადგ დღეებში ტასკრის დაწყებაზე «შეხმანეს» კითხვაში უჩენს კმეკას, ამ დღეებში მღვდელმა მარტო ოლარ დადებით უნდა იღოტოს ტასკარი და მწყარი, თუ ფიდონ ჩატმულმა? უკეთუ ფიდონის ნატმა არ უნდა, მარტო ოლარში შეუძლია თუ არა აკმიოს მღვდელმა ეკლესიაში?

ტიბიკონი ცხადათ უჩენებს, როდეს რა უნდა აღასრულოს მღვდელმა ოლარით და როდეს რა ფილონით.

5. ენების კვირაში ოთხელ დღე ცისკარზე და მწუხრზე თავთავის დანიშნულს დროზე წაიკითხავს სახარება, ამავე კვირაში მესამე, მეექვსე და მეცხრე ყამნებზედაც უჩენს მარხვის ტიბიკონი ენების სახარების წაკითხვას, მაგრამ კარდ მონასტრებისა და საკრებულო ეკლესიების ყამნებზე სოფლის საძრველო ეკლესიებშიდაც უნდა აღსრულოს მღვდელმა სახარების წაკითხვა თუ არა?

5) ყველგან ერთ ნაირად უნდა სრულდებოდეს სახარების კითხვა ტიბიკონისამებრ. თუ ზოგიერთ სოფლის ეკლესიებში არ სრულდება სახარების კითხვა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახარების კითხვა საჭირო არ იყოს.

6. ასმაღლებულის თქმის დროს მღვდელმა ჯვარი უნდა გადასახოს ენუბოს თუ არა.

6) არსად არ წერია ჯვარის გადასახვა და არც უნდა ასრულებდენ.

7. რისი მომასწავებელია ენუბოს ფესვით მირტემენა კრებზე მიცვალებულის გარეთ გამოსვენების დროს?

7) მოძღვრების უსწავლელობისა და ჭირისუფლების ამაოდ-მორწმუნებისა.

შეწირულ ეგანი.

I

ბლაღოჩინის მღვდლის მ. იოსებ წერეთლისაგან ჩვენ მიეიღეთ შემდეგი წერილი:

მ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვეთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით ეულითადი მადლობა გამოეუცხადოთ აზნაურს ილარიონ გამყრელიძეს, რომელმაც შემოსწირა რწმენებულს ჩემდამო ითხვისის იოანნე ნათლისმცემლის ეკლესიას ეეცხლის ჯვარი, ღირებული ხუთ თუმნათ. (50 მან.)

II

მღვდლის მ. დავით აბაშიძისაგან:

«მ. რ. უმორჩილესად გთხოვეთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით ეულითადი მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე, აგრეთვე ჩემმა მრეველმა ქვემოთ აღნიშნულ პირთ, რომელთაც შემოსწირეს ეარდიგორის მაცხოვრის ეკლესიას სხვადასხვა საეკლესიო ნივთები. შემწირველთა სია: ეასილ პეტრეს ძემ შეელაძემ გვირგვინი ექვსი მანეთისა, აზნაურმა ბუტუა გრიგოლის ძემ საყვარელიძემ ტრაპეზზე გადასაფარველი დიბა ექვსი მანეთისა, ანნა მაჭავარიანის ასულმა საცეცხლური სამი მანეთისა, ღვიმის დედათა მონასტრის მონაზონმა თეკლა ნიქაშავიძის ასულმა ბარძიმ—ფეშხუმის დაფარნები ორი მანეთისა.

III

მღვდლის იოსებ დარჩიასაგან:

მ. რ. უმორჩილესად გთხოვეთ, რომ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოეუცხადოთ პოდპოლკოვნიკს ბ. ის. კანდელაკს, რომელმაც კეთილ ინება და ჩვენს ბოგირის წმ. ნიკოლოზის ეკლესიას შემოსწირა აბრეშუმის შესამოსელი, ღირებული ას მანეთად; დაფარნები, ღირებული თუთხმეტი მანეთისა და ერთიც ტრაპეზზე გადასაფარველი, ღირებული 15 მანეთად.

რედაქციის პასუხი.

ჯვარის ს—ის მასწავლებელს. ჩვენს გამოცემაში ფელეტონურ სტატიებს ადგილს არ ვაძლევთ. შარდაბიჩ წერეთ, რაც ენებავსთ. თუ ხედავთ, რომ ფუჭებს ბოროტად ხმარობენ, ვანგუსადეთ, სადაც რიგია.

ბ. ა. მ—ს. სუმაწვილო წიგნები სამკითხველოში რათ გინდათ? ნუ თუ უმაწვილები დადან სამკითხველოში? სამკითხველოში პატარების სიარული და მათ მიერ გაფუჭების კითხვა ძალიერ მაგნებელია. სურამელებისათვის ისიც სიკმარა, რა წიგნებიც შეგიკრებიათ!

ერ. გენ—ძეს. ნინაბაშეილს ამისთანა წერილები კვერ გასწორებს!

რ. საჯაოხელს თქვენს რჩევას მეითხვენდი პირდაპირ მიიღებს და ამისთვის არ ვბეჭდავთ.

მასწ. თ. ჭ—ძეს. თქვენი წერილი არ იბეჭდება.

აზ. ნ. მასხულიას. სიინტერესო სწორეთ ის არის, თუ გამოძიება რითი კითხვდა?

მღ. ვლ. ფ—ძეს რადეასაც.... გარომეკვენ, ჩვენლებს რას დაეძებთ?

მთავარ-დიაკონს ხ. ლუდუშურს. დრეებით მმირთველი მღვდელი ადგილობით შედგეთნეს იმსახურებს და წილსაც მას აძლევენ და არა თავისს შვილთონეს. დრეებითი მმირთველმა მღვდელმა მღვდელ-მოქმედების შესრულება თავისს სხვეთებში კი არ უნდა ბაწერეს, არამედ იმ ეკლესიის სხვეთებში, რომელსაც იგი დრეებით მართავს.

გ. გამ—დია. ღმერთმან შეგელოს თქვენ ახალ მღვდელს, რომ აგრე კარგად იქცევ.

აზ. მ. ან—ძეს. გთხოვთ შეგეტყობინოთ, თუ რომელ მრევლშია ის ჩაბარებია ბლაღოჩინი, რომელზედაც თქვენ იწერებით.

მღვდელს რომა- ნინაგეგრძნობთ თქვენ, მაგრამ ამ სიტყვის შესახებ ბრძანების გამოცემას ნუ ელი. თქვენი წერილი ერთი დიდი პირის ნაამბობს მაგონებს. უმჯობესია ჩემთანა, ბრძანა სიერო წოდების ერთმა დიდმა პირმა, სოფლის მასწავლებელს, რომ მარსგა არ ინახავსო. მთხოვეს ამ მასწავლებლის დათხოვა, მაგრამ მე ამაზე უარი ვუთხარი; თუ ამ დამნაშავისათვის მასწავლებელი დამეთხოვა, მეც უნდა დათხოვებოდა ჩემს თანამდებობას, რადგან მეც ისეთი ცოდვილი ვიყავი, რაგორც ის სოფლის მასწავლებელიც.

განცხადებანი.

მიიღება ხელის-მოწერა 1896 წლისათვის ოჩ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს"-ზე

⁂

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ფასი ჟურნალისა:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— ,, ორივე გამოცემა 4 »	— ,, ორივე გამოცემა 3 »
— ,, რუსული ,, 3 მ.	— ,, რუსული ,, 1 »

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით სამ მანეთად.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას შესანიშნავი განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გააცნოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გააცნოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ-ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა ზემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას ⁂ ხალხის ცხოვრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირალაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირალაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. და თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭარიოთან; გორში—სასულ. სასწავლებლის მასწავლებელ ილია ი. ფერაძესთან; სიჩხვრეში— ძ. ყარაქან ჩხეიძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოვთან. ახალსენაგში—სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ სპირდონ ან. მატარაძესთან.

ბარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

ამ მიმდინარე წლის საჩუქარი შოთა რუსთაველის მხატვრობა უკვე დაურიგდათ ხელის მომწერთ და ეისაც ჯერ არა აქვს მიღებული, ისინიც მალე მიიღებენ.

1896 წლის «მწყემსი»-ს

ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაურიგდებათ

მოზრდილი ფოტოგრაფიული მხატვრობა

საქართველოს მეფის წმ.

დავით აღმაშენებელისა

ბ

იმერეთის ეპისკოპოსის

გაბრიელისა

ეს მხატვრობანი ფულის შემოტანისათანავე გაეგზავნება უველა ხელის მომწერთა.

დამზღვევი საზოგადოება

„იაკორი“

(ღ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა 2,500,000 მან. აქვს გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა ცეცხლისაგან,

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: ძმა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშიც, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეუენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კი თვით დაზღვეულითანხაც—10,000 მან.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, კავკასის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიაძინოვის ქუჩაზედ № 2) და იმერეთის ყველა ქალაქების საagენტოებში.

საზოგადოებისათვის საადგილოდ დაზღვევა შეიძლება კუტაისშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალექსეისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. 20—7

შ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტერატურო განყოფილება: რედაქციისაგან.—საშაური ნიადაგარი იმერეთში.—მოხუცებულის მოგონება წარგა-ლოცვის შესახებ.—«მწყემსი»-ს კორესპონდენცია ს. მამათიდან.—რაფელ ერისთავის იუბილეის გამო.—ჩემი ვინაობა (ლექსი).—ახალი ამბები და შენიშვნები.—საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი.—წერილი რედაქტორთან.—სეჭვგო კითხვების განმარტება.—შეწირულებანი.—რედაქციის პასუხი.—განცხადება.

Редакторъ-издатель П. Д. Гамбашидзе. *Дозволено цензурою. Кутаисъ*, 15 Ноября 1895 г.

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананoвыхъ, на Нѣмецкой ул.